საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ზონკარი

ზემო ზონკარი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბელოთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. პატარა ლიახვის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1250 მ, ერედვიდან 17 კმ. 41 მცხ. (2002). სოფლის დას-ით, დაახლ. 300 მ-ზე, დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია, რ-იც სტილისტიკური ნიშნებით VIII–X სს. ძეგლების მსგავსია. ეკლესიის აღმ-ით, მთის ფერდობზე, ადრინდ. ფეოდ. ხანის ზურგიანი კოშკია.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1976–77, №43–44.